

F 17
1947

ს ს ხ მ
საქართველოს კულტურის
მინისტრის მიერ განვითარების
სამინისტროს გრანიშათა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს გრანიშათა
და განვითარებულებათა

კრისტიანი

ზელიზადი მიათა

№ 4

Сборник приказов и Распоряжений
Министерства Просвещения Груз. ССР

1947 წ.

ზ 0 6 2 1 6 6 0

1. დადგენილება — მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღწერდის შესახებ ქართული ლიტერატურისა, სამოქალაქო ისტორიისა, ბუნებისმეტყველებისა, ქიმიისა და ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით	2 83.
2. ბრძანება № 476—1944 წლ. 7 თებერვლის ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ	26 "
3. ბრძანება № 505—განსაკუთმის 1944 წ. 9 მარტის ბრძანების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ	34 ,

თბილისი 1947 წ.



დ ა ღ ა ნ ი ღ ე ბ ა

საქართველოს განათლების სამინისტროს
 პოლიტიკისა

მოსწავლითა იღებრ-პოლიტიკური აღზრდის შესახებ ჩართული ლიტერატურისა, სამოქალაქო ისტორიისა, გულების-მიზანებისა, მიმისა და ფიზიკის სავალებასთან დაკავშირებით.

კოლეგიამ მოისმინა რა მახარაძის, ახმეტის, კაჭრეთის, ყეარელის, განის, ბორჯომის, ჩხოროწყვის და ჩხარის რაიონის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველება-ქიმიის სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგები, აღნიშნავს, რომ ამ საგნების სწავლების დარგში მოპორბულია ერთგვარი წარმატებანი.

ჩვენი სკოლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა კარგად გაიგო უურნალ „ზეწმდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილება-ში წამოყენებული ამოცანები მოზარდ თაობის იდეურ-პოლიტიკური აღნიშრდის შესახებ და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წარმართა ამ გადაწყვეტილების განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად.

მასწავლებელთა მოწინავე ნაწილი სისტემატურად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პედაგოგიური ოსტატობის გაუმჯობესებისათვის, საფუძვლიანად ემზადება გაკვეთილები-სათვის, გაკვეთილს ატარებს შინაარსიანად და მიმზიდველად, პროგრამული მასალის დამუშავებას უკავშირებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღნიშრდის ამოცანებს და ზრდის მოსწავლეებში ინტერესს და მისწრაფებას ცალკე სასწავლო საგნების ლრმად და საფუძვლიანად შესწავლისადმი.

ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და დროული ტერატურის მასწავლებელი ქეთევან ცერაძე მხატვრული ნაწარმოების ყოველმხრივ და საუფელიანია და გამუშავებასთან ერთად, მოსწავლების უფრადებას აძახეილებს ნაწარმოების იდეურ მხარეებზე და იმ სოციალურ-პოლიტიკურ ეითარებაზე, რომელშიაც ის ნაწარმოები წარმოიშვა. მოსწავლეებმა იციან არა მარტო მოთხოვნის, რომანის, ლექსის, პოემისა და დრამის შინაარსი, არამედ შესწევთ მათ მხატვრული და სტილისტური ინალიზის უნარი, კარგად აქვთ გააზრებული ნაწარმოების სოციალური ფონი, დედააზრი, მოქმედ გმირთა სულიერი განწყობილება, მათ გამომუშავებული აქვთ სწორი და ნათელი თვალსაზრისი მწერლის შემოქმედების შესახებ, ისინი დამაჯერებლად ახასიათებენ იმ სოციალ-პოლიტიკურ პირობებს, რომელშიაც მწერალს უხდებოდა მოღვაწეობა და იმ ძირითად სოციალურ მოტივებს, რომლებმაც განსაზღვრეს მწერლის შემოქმედების ხასიათი. ამ სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან, რომ თეომურაშ I-ის სევდა და მწუხარება არ იყო პიროვნული, არამედ ის გამოწვეული იყო XVI-XVII საუკუნეებში საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით; X კლასის მოსწავლეებმა იციან რეალიზმისა და რომანტიზმის წარმოშობის მიზეზები, 6. ბარათაშვილის რომანტიზმის თავისებურებათა განმსაზღვრელი ფაქტორები და სხვ. ასევე კარგად მუშაობენ პ. იობიშვილი (მახარაძის რაიონის ვაჟთა სკოლა), 6. მელუა (მახარაძის რაიონის ბახვის საშუალო სკოლა), ქ. სეანაძე (ქუთაისის რაიონი, საყულიის საშ. სკოლა) და სხვა.

ისტორიის მასწავლებლები ი. სედაშვილი (ყვარელის საშუალო სკოლა), ლ. მამთორია (ჩხორიშვის საშუალო სკოლა), ა. გულუა (ბათუმის საშუალო სკოლა), ლ. აბესალაშვილი (ჩხარის საშუალო სკოლა) და სხვები კარგად ასწავლიან ისტორიას. ამ სკოლების მოსწავლეები სავსებით სწორად აშუქებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ შექმნილ მდგომარეობას; დალაგებულად, ზესტი თანამიმდევრობით მოგვითხრობენ რევოლუციური კრიზისის ზრდისა და მასების ბოლშევკიზაკიის შესახებ. დამაჯერებლად ასაბუთებენ შეიარაღებული აჯანაებების აუცილებლობას, მოხდენილად უკეთებენ ანალიზს იმ დროს შექმნილ საერთაშორისო ეითარებას, სწორად აშუქებენ გლეხთა მოძრაობის დამახასიათებელ ნიშნებს, გააზრებულად არ-

ჩევენ მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ჩევენი ქვეყნის
ხალხთა ბრძოლას უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ.

ჩხარის რაონის ორჯოლის საშუალო სკოლის ბიბლიოთის
მასწავლებელი მ. ქავთარაძე, ვანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის
მასწავლებელი ი. კორძაძე, ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლის
ქიმიის მასწავლებელი ი. ღუმბაძე სისტემატურად იმაღლებენ იდე-
ურ-პოლიტიკური მომზადების დონესა და პედაგოგურ-მეთოდურ
კვალიფიკაციას, ეცნობიან მარქსიზმ ლენინიზმის შრომებს და სა-
ბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებს, გულდასმით ემხადე-
ბიან ყოველი გაკვეთილისათვის და გაკვეთილს ატარებენ მაღალ-
ხარისხოვნად, სასწავლო მასალას გადასცემის ისე, რომ მოსწავლებ-
ში იწვევენ ცხოველ ინტერესს საგნის დაუფლებისათვის, მიზანშე-
წონილად იყენებენ თვალსაჩინოებას და ექსკურსიებს.

ასევე კარგად მუშაობენ მასწავლებლები გ. გიორგაძე და ი. კორძაძე — ვანის საშუალო სკოლა, ო. თავაძე — ბორჯომის ქალთა საშუალო, სკოლა ი. ლომინაძე — ჩხარის საშუალო სკოლა, რ. უილარი — ბორჯომის რუსული საშუალო სკოლა და სხვები.

ფიზიკის სწავლებისას მოსწავლეებში სწორი მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის კარგად მუშაობს ქ. მახა-
რაძის ვაქთა საშუალო სკოლის მასწავლებელი გრ. კალანდარიშვილი; ის სასწავლო მასალის დამუშავების დროს არ კმაყოფილდება მარ-
ტო ფიზიკური მოვლენის განკერძოებულად განხილვით, არამედ თითოეულ მოვლენას იხილავს სხვა მოვლენებთან კავშირში და ცკ-
ნობს მოსწავლეებს ბუნების მოვლენებს შორის კანონზომიერ ურთი-
ერთობას.

მაგალითად, მასწავლებელმა XI კლასში დაამუშავა მასალა „მაგნიტური ინდუქცია“, მის მიერ მაგნიტური ინდუქციის მოვლენა დემონსტრირებული იქნა ცდით, განსაზღვრა რა არის მავნიტური ინდუქცია და ამ მოვლენასთან კავშირში დაასაბუთა მაგნიტის მიერ რეინისა და ფოლადის მიწიდვის მიწებები. მაგნიტური ურთიერთ-
ქმედების სივრცეში გადაცემის საკითხის შესახებ მასწავლებელმა გააცნო მოსწავლეებს სხვადასხვა დროის მეცნიერული შეხედულე-
ბანი, განმარტა თანამედროვე მეცნიერული მონაცემები ეთეროვანი სივრცის შესახებ; განსაზღვრა ეთერი — როგორც მატერიას გან-
საკუთრებული ფორმა, რომელშიაც ვრცელდება სინათლის ელექ-
ტრომაგნიტური ტალღები. მასწავლებელმა ხაზვასმით აღნიშნა, რომ

მატერიის გარეშე შეუძლებელია სიცრცეში რაიმე ძალის მოქმედება. მან წინასწარ ნათელი გახდა მოსწავლეთათვის კავშირი ელექტრო მაგნიტური ტალღებისა და სინათლის გაფრცელების მოვლენებთან, და საფუძველი მოუმზადა მოსწავლებში ფიზიკის საკანონო მაყოფის გამომუშავებას.

მიუხედავად ამისა ჩვენი რესპუბლიკის მრავალ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს. ზოგი სკოლის დირექტორი და მასწავლებელი აღმზრდელობით მუშაობას სკოლაში საზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა „წესებში“ მოცემული მუხლების მექანიკურ ვატარებით და უგულებელყოფს ცალკე საგნების სწავლების აღმზრდელობით მნიშვნელობას.

ჩატარ ებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველებისა და ქიმიის სწავლება მოკლებულია ღრმა იდეურ-პოლიტიკურ ჟინარსს.

ბევრ სკოლაში ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერლების მხატვრული ნაწარმოების სწავლებას მასწავლებლები სათანადოდ არ უკავშირებენ მოსწავლეებში იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს. მხატვრულ ნაწარმოებებს ხშირ შემთხვევაში ასწავლიან მშრალად, ზერელე, კმაყოფილდებიან ნაწარმოების შინაარსის გადმოცემით, ნაწარმოების გმირთა დახასიათებით მწერლის წერის მანერის მოკლე ანალიზით, ლექსიკური მასალის გარჩევით და არ აძახეილებენ მოსწავლეთა ყურადღებას ნაწარმოების იმ იდეურ მხარეზე და განწყობილება-სულისკვეთებაზე, რაც მწერლის მიერ ამ ნაწარმოებშია გამოხატული.

ამის შედეგად მოსწავლეებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა მხატვრული ნაწარმოების გმირთა სოციალურ გარემოზე და იმ კლასებზე, რომელთა აზრისა და მისწრაფებების გამომხატველნი ეს გმირები არიან, ისინი საქმიალ ვერ ერკვევიან ლიტერატურულ მიმართულებათა წარმოშობის მიზნებში, ამ მიმართულებათა სოციალურ-კლასობრივ არსები.

ახმეტის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელმა მ. შამანაურმა მოსწავლეებს წააკითხა გრიშაშეილის ლექსი „ორი სიტყვა“,

ზოგმა მოსწავლეებმ ზეპირათაც სთქვა ეს ლექსი, მაგრამ მოსწავლეებს კანგაუაზრებიათ სიტყვების „სამშობლოს“ და „გაშირჯვების“ მნიშვნელობა და ცნობა და ცნობების გარეშე დარჩა ის აზრი, რომ ჩვენი გამოცდილობა მომდევნობის გამარჯვების გარეშე წარმოუდგენლით და ამ გამარჯვებას სჭედავენ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები. იმავე სკოლის V კლასში მასწავლებელმა მ. ანტონოვამ ახსნა აქაკის ლექსი „ლამურა“. მოსწავლეებმა ღამურა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და მათთვის გაუაზრებელი დარჩა ლექსის მნიშვნელოვანი დავილი: „ერულ იყოს მისი სახელი, ვინც მთა გასცეალოს ბარზედა, თვისტომის დამწუნებელსა ჭირი მიუვა კარზედა“. ზემო-ალევანის საშუალო სკოლის შეშვიდე კლასში მოსწავლეებმა ზეპირად იციან ვაჟა-ფშაველას ლექსი „ჩივილი ხმლისა“, მაგრამ ლექსის ირგვლივ გამართული საუბრით ირკვევა, რომ მასწავლებელმა სწორად ვერ განუმარტა მოსწავლეებს, თუ რას წარმოადგენდა მეფის რუსეთი, მოსწავლეებს ასეთი აზრი შეუმუშავდათ: „რუსეთი ჩაგრავდა საქართველოს“, „რუსები ჩაშორჩინილობას ხელს უწყობდნენ საქართველოში“ და სხვა. მოსწავლეები ვერ ანსხვავებენ „რუსეთს“ „მეფის რუსეთისაგან“ და არ იციან, რომ რუსი ხალხი ისე იჩიგრებოდა მეფის ხელისუფლების შეირ, როგორც სხვა ერები, რომ „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა“. იმავე სკოლის XI კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ლიტერატურულ მიმართულებებში, არ ესმით რეალიზმის და რომანტიზმის არსი, წარმოდგენა არა აქვთ იმაზე თუ რა სოციალურ ვითარებაში წარმოიშვა ეს მიმართულებანი და საზოგადოების რომელი ფენის სულისკეთების გამომხატველია ისინი. იგივე ითქმის სოფ. ყვიბისის (ბორჯომის რაიონი) საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებზედაც (მასწ. ე. იობაშვილი).

ბორჯომის რაიონის ახალდაბის XI კლასის მოსწავლეებს (მასწ. ი. ხარაძე) ზერელე და უმართებულო წარმოდგენა აქვთ ხალხოსან მწერლებზე. მათი აზრით „ნ. ლომოური ხალხოსანი მწერალი იმიტომ იყო, რომ მას ხალხში სიარულით უნდოდა გადაეგდო ბატონყმობა და გლეხების მდგომარეობა გაეუმჯობესდია“. გარკვეული წარმოდგენა არა აქვთ იმ დროინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე, ხალხოსნურ მოძრაობაზე და „ხალხოსანი“ ლომოურის ზედმეტი სახელი ჰეონიათ.

მოსწავლეთა ცოდნის სიღარიბე მეღაენდება აგრეთვე ნაკიანის (ჩხოროწყვს რაიონი) საშუალო სკოლაში (მასწ. ანა ყალიჩავა). ამ

სკოლის VII კლასის მოსწავლეს ვ. კ. „კაცია-აღაშვილის მოკლე შინაარსი 4 სტრიქონზე დაუწერია, მასწავლებელს კი ნაშრომი 4-შე შეუფასებია. ამავე მოსწავლეს „დარისპანის გასაკირის“ მოკლე შინაარსი 3 სტრიქონზე დაუწერია და შეფასებაც 3 მიუღია.

ნაფიჩხოვოს საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ნაკუებიამ აქ. წერეთლის „გამზრდელის“ შესახებ სთვა, რომ „აკ. წერეთელი აქ ქადაგებს თავისულების იდეასო“ და ამის დასამტკიცებლად მოიყვანა კიდეც ადგილი „რთულ ცხოვრების უარმყოფი მცირედი-თაც კმაყოფილი“. პოემის შესახებ კი სთვა: „პოემა არის ისტორიული ამბავი გრძლად და ლექსად გამოთქმულიო“.

ხაბუმეს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. ლ. ცირამშვა) არ იციან პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებთა ტექსტი და მსჯელობის დროს ეყრდნობიან ნაწარმოების შესახებ გავრცილ ყურ-მოკრულ ამბავს. XI კლასის მოსწავლეებმა დ. კლდიაშვილის „სამანი-შვილის დედინაცვალის“ შინაარსი ასე გადმოსცა „გვერდევანიძე ზის კარგ ცხენზე, ჩოხა აცია, ცილინდრი ხურავს, ნაბადი დაკრული აქეს უნაგირზე, ხელში მათრახი უჭირავს და არხეინად მიდისო“, ხოლო დ. კლდიაშვილის შემოქმედებას ასე ახასიათებს: „ის არის ხუმიარა და სასაცილო მწერალიო“. ამ კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ დ. კლდიაშვილის შემოქმედების დამახასიათებელ მხარეებზე.

ქვემო-ალვანის (ახმეტის რაიონი) საშუალო სკოლის მასწავ-ლებელმა დ. გოჩილაძემ ე. ნინოშვილის „ჩენი ქვეყნის რაინდის“ დიმიშვავებისას ტარიელ მქლავაძე მოსწავლეებს დაუხასიათა, როგორც პიროვნება და არა გადაგვარების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის ტიპიური წარმომადგენელი. ხაბუმეს საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლეები „გლახის ნაამბობის“ მოქმედი პირების—დათიკოსა და გაბრის კონფლიქტს პიროვნული, სუბიექტური მოტივებით ხსნიან. მათ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, რომ დათიკო მებატონის ტიპიური წარმომადგენელია, ხოლო გაბრო დაბერძვებული ფენის სულისკვეთების გამომხატველი.

ზოგ სკოლაში ისტორიის ასწავლიან ფორმალურად და სათანადოდ არ აფასებენ ამ საგნის სწავლების მნიშვნელობას მოსწავ-ლეთა იდეურ-პოლიტიკური ობიექტის საქმეში. ისტორიის მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ვულგარული სოციოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ყალბად გაიგო; მოსწავლეები სწავლობენ უამრავ ფაქტს,

იზეპირებენ სახელებს და სახელწოდებებს, არ გამოჰყოფენ მთავარს /
მეორე ხარისხოვანისაგან, არ უკავშირებენ უამრავ ქრონოლეტ-
გიურ თარიღებს ისტორიულ მოვლენებს და ამიტომ თავრიღებებსა-
ეკარგება მნიშვნელობა, როგორც ისტორიული პროცესის გავრცელი-
თვის აუცილებელ ელემენტს. მოსწავლეებს არა აქვთ გააზრებული
მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა და არ შე-
სწორება უნარი ამათუიმ მოვლენას მისცენ სწორი ისტორიული შე-
ფასება.

მაგალითად, ხაბუმეს საშუალო სკოლის (ჩხოროწყუს რაიონი,
მასწ. 6. ჯანელიძე) მე-10 კლასების მოსწავლეებს არასწორი წარმო-
დგნა აქვთ 1905—7 წლის რევოლუციაზე: „ეს რევოლუცია მოსკოვ-
ში მოხდაო“ ისინი დეკემბრის აჯანყებასა და რევოლუციას ერთ-
მანეთში ურჩევნ, არ ესმით რევოლუციის მიზეზები, მამოძრავებელი
ძალები, ხასიათი, „ჩარტისტული მოძრაობის“ დამარტინების ძირი-
თადი მიზეზები, რუსეთში სამოციანი წლების ბურჟუაზიული რე-
ფორმების აზრი. მათ არც ფაქტიური მასალა იციან, არ შესწევთ
უნარი ისტორიული ფაქტების განხოთვადებისა, მაგ. პეტრე I-ის
ბრძოლას ბალტიის ზღვის სანაპიროებისათვის ვერ უკავშირებენ
სხვა ამგვარ ბრძოლებს (ივანე VI, ბორის გოდუნოვი), რომ აქედან
გააკეთონ გარკვეული დასკვნა რუსეთისათვის ბალტიის ზღვის მნი-
შვნელობის შესახებ.

თერჯოლის საშუალო სკოლის (ჩხარის რაიონი, მასწ. კ. ჯაფა-
რიძე) მე-9 კლასის მოსწავლეები სრულიად „ვერ ერკვევიან საფრან-
გეთ-პრუსიის ომის გამომწვევე მიზეზებში (პრუსია, როგორც ომის
მთავარი მიზეზი მოსწავლეებისათვის არ არის ცნობილი). მოსწავ-
ლეებს პარიზის კომუნის დამარტინების მთავარ მიზეზად მხოლოდ ის
მიაჩინათ, რომ კომუნარებმა ვერ გამოიყენეს ბანები და ტიერის
წინააღმდეგ შეტევა დააგვიანეს. ისინი არ იცნობენ მარქსის, ლენინისა
და სტალინის შეხედულებებს კომუნის ისტორიული მნიშვნელობის
შესახებ.

ნაკიანის საშუალო სკოლის (ჩხოროწყუს რაიონი, მასწ. ყალაჩიგა)
მე-10 კლასის მოსწავლეები ნაროღნიკების წინააღმდეგ პლეხანოვისა
და ლენინის ბრძოლის დახასიათებისას ვერ არკვევენ პროლეტა-
რიატისა და გლეხობის როლს რევოლუციურ მოძრაობაში. მხო-
ლოდ ასახელებენ, რომ ნაროღნიკები გლეხობაზე ამყარებენ იმე-
დებსო; მათ არ ესმით, თუ რატომ ცდებოდნენ ამ საკითხში ნაროღ-

ნეკები, რატომ არის პროლეტარიატი უკელახე უფრო რეგულარუ-
ციური კლასი, როგორი იქმნებოდა გლეხობის როლი რუსეთის უფრო-
ლუციაში და სხვა.

ზეინდრის რვაწლიანი სკოლის (განის რაიონი, მასშტ. იქ. ქვი-
თარაძე) მე-8 კლასის მოსწავლეებმა შესძლეს დაესახელებიათ სა-
ფრანგეთის აღმავალი ბურჟუაზიის ზოგიერთი იდეოლოგი (მაგ.
მონტესკიე, რუსო), მაგრამ თუ რით არის ცნობილი მონტესკიე,
მოსწავლეებმა არ იციან.

ქ. ბორჯომის რუსული საშუალო სკოლის (მასშტ. ხევსურიშვილი)
მე-5 კლასის მოსწავლეებს ფარაონი წარმოდგენილი ყავთ, როგორც
მხრუნველი და მთელი ხალხის მომავავი. ნომების გაერთიანებას მო-
სწავლეები და თვით მოსწავლეებელი ხსნიან მხოლოდ და მხოლოდ
გეოგრაფიული ფაქტორებით. ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავ-
ლეებს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია წარმოდგენილი
აქვთ, როგორც ისეთი რევოლუცია, რომლის მიზანს შეადგენდა
კაცობრიობის საბოლოო განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან; ვერ
ერკვევთ ნაპოლეონ პირველის საგარეო და საშინაო პოლიტიკის
არსში. მოსწავლეთა აზრით ნაპოლეონი მთელი საფრანგეთის მოსა-
ხლეობის ინტერესების დამცემი იყო.

სოფ. წალენერის საშუალო სკოლის (ბორჯომის რაიონი, მასშტავ-
ლებელი ქლენტი) მე-5 კლასის მოსწავლეებს არა აქვთ ნათელი წარ-
მოდგენა მონობის შესახებ. მათი აზრით ათენის დემოკრატია, დე-
მოკრატია იყო ყველასათების. მოსწავლეებს არ ესმით, რომ დემო-
კრატია მაშინდელ საბერძნეთში მონათმფლობელთა კლასის დემო-
კრატია იყო და საზოგადოების ჩაგრული ფენა ყოველგვარ უფლე-
ბებს მოკლებული იყო. ამავე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეებს არ
ესმით განსხვავება მიწათმოფლობელურ საზოგადოებასა და ფეოდა-
ლურ საზოგადოებას შორის.

სოფ. სალხინოს საშუალო სკოლის (განის რაიონი) მე-9—მე-10
კლასის მოსწავლეებს (მასშტ. ზ. ჩაჩანიძე) წარმოდგენა არა აქვთ პეტრე
I-ის მოღვაწეობის შესახებ. მათ არა სწორი და ძალზე ბუნდოვანი
წარმოდგენა აქვთ პუგაჩოვის ხელმძღვანელობით მომხდარ გლეხთა
ომშე. სრულიად ვერ ერკვევიან რუსეთში მომხდარ საგლეხო რე-
ფორმებში და არ იციან თუ როგორი შეფასება მისცა ლენინმა
70-ანი წლების რეფორმებს.

მოსწავლეებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა, თუ რა არის
ბურგუაზიული რევოლუცია და რით განსხვავდება იგი სოციალუსტური
ტური რევოლუციისაგან.

ბევრი სკოლის მასწავლებლები, ფიზიკის, ქიმიის, ბატანიკის,
ზოოლოგიის, ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და დარვინი-
ზმის საფუძვლების საპროგრამო მასალის დამუშავების პროცეს-
ში არ აქციება ყურადღებას დიალექტიკურ - მატერიალისტური
მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეს. აღნიშნული საგნე-
ზის სწავლება ძირითადად იმით განისაზღვრება, რომ მოსწავ-
ლეები ეცნობიან ბუნების ცალკეულ ფაქტებსა და მოვლენებს,
იმასსოვრებენ მათ გარეგნულ აღწერილობას, წიგნური ენით მექა-
ნიკურად, გაუაზრებლად იზეპირებენ კანონებს, დებულებებს, ხოლო
ლრმად ვერ წვდებიან ფაქტებსა და მოვლენების წარმოშობისა და
განვითარების კანონზომიერებაში.

ზოგი სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები ვერ ერქვევიან
მატერიალისა და ენერგიის ცნებათა განსაზღვრაში, მათ არა აქვთ
ელემენტარული წარმოდგენა მატერიალისა და ენერგიის მუდმივობისა
და გარდაქმნის კანონებზე, იმაზე, რომ მოძრაობა მატერიალის აჩვე-
ბობის ფორმაა და რომ მატერიალი მოძრაობის გარეშე ისევე შეუ-
ძლებელია, როგორც მოძრაობა მატერიალის გარეშე. არა აქვთ ნათე-
ლი წარმოდგენა ბუნების მოვლენათა და საგანთა მატერიალურობაზე,
რადგანაც არ ეცნობიან საგანთა ნამდვილ თვისებებს, ვერ არყვე-
ვინ კავშირს ბუნების არაორგანულ და ორგანულ ნაწილებს შორის.
არა აქვთ გამომუშავებული სწორი მატერიალისტური თვალსაზრისი
დედამიშაპე სიცოცხლის წარმოშობასა, ორგანულ სამყაროს წარ-
მოშობის მატერიალურ საჭყისისა და შისი შემდგომი განვითარების
კანონზომიერების შესახებ; არ შესწევთ უნარი მასალის შესწავლის
საფუძველზე მიღებული ცოდნა გამოიყენონ ცრუმორწმუნეობის
უსაფუძვლობის დასამტკიცებლად და სხვა.

ბევრი სკოლაში იმის გამო, რომ ბუნების მოვლენების (ფიზი-
კური, ქიმიური) შესწავლის დროს ნაკლებად არის გამოყენებული
თვალსაჩინო სწავლების მეთოდები (ცდა, ლაბორატორიული მუშა-
ობა, უშუალო დაკვირვება). მოსწავლეების მიერ ვერ არის დაძლე-
ული ძირითადი ცნებებისა და დებულებების გააზრებულად ათვი-
სება, რის გამოც მათვეს გაუვებარი ხდება ნივთიერების აგებულე-

ბაზე ამჟამად დადგენილი თეორიების შინაარსი, რომლითაც ახსნილ
უნდა იქნეს ესა თუ ის ფიზიკური ან ქიმიური მოვლენას ეთნოს
ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის შე-კ-კლასის
მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნ. ბურლაშვილი) არადამაკა-
ყოფილებლად იციან ბოტანიკის პროგრამით გითვალისწინებული
სასწავლო მცხალა, ვერ ერკვევიან მცენარის ფესვის დანიშნულე-
ბაში და ფოთლის გებულებაში, არ იციან. თუ რა ნივთიერება
წარმოიქმნება ფოთოლში და რა მნიშვნელობა აქვს სინათლესა და
ქლოროფილს სახამებლის წარმოქმნისათვის.

ამავე სკოლის VII კლასის მოსწავლეების ცოდნის დონე და-
ბალია, მათ არ ციან ფრინველის გარეგანი აგებულება, შინაგანი
ორგანოები, ფრინველთა კლასში შემავალი რაზმები და ფრინველთა
გამრავლება; არა იქვთ ნათელი წარმოდგენა ფრინველის ფრენასთან
შეგუებაზე და მისი ორგანოების საამისოდ მომარჯვებულობაზე.

ბორჯომის რაიონის წალენის სკოლის მე-5 კლასის მოსწავ-
ლეებს (მასწავლებელი ელ. რუხარე) მცენარის კვირტის აგებულება
და დანიშნულება არა იქვთ სწორად წარმოდგენილი, არ არიან
გარკვეული კვირტის გაშლის მატერიალურ ფაქტორში და გარემოს
გავლენაში, სწორად არა იქვთ გააზრებული, რომ ბუნების მოვლე-
ნები გამოწევულია გარკვეული მატერიალური მიზეზებით და არა
რაიმე მიზნობრივი აქტით.

ამეტების რაიონის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეთა
მომზადების დონე მეტად დაბალია (მასწ. თ. ქინქლაძე) მოსწავ-
ლეებმა არ იციან ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონები, კამბიუმის მერქანისა
და ლაფანის დანიშნულება, არა სწორად იქვთ წარმოდგენილი თეს-
ლის დანიშნულება და გალივების პროცესი, მათი განძარტებით
მცენარე იმიტომ იკვეთებს თესლს, რომ მას არ უნდა გადაშენება,
არ იციან, რომ ჩანასახი არის მატერიალური საწყისი მომზადი
მცენარისა.

ბორჯომის რაიონის ყვიბისის საშუალო სკოლის VII-კლასის
მოსწავლეებმა (მასწავლებელი შ. ბეთიაშვილი) არ იციან, თუ რას
შეისწავლის ზოოლოგია, ისინი არ არიან გარკვეული კლასიფიკა-
ციის მნიშვნელობაში, მათ მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის
ფუძქმდებლად ჩ. დარგინი მიაჩნიათ, ვერ მარტავენ, თუ რას ეწო-
დება ხელოვნური და ბუნებრივი კლასიფიკაცია, ვერ ასახელებენ
ხერხემლიანთა ქვეტიას ვერცერთ კლასს, არ არიან გარკვეული

იმაში, თუ თევზის სხეულში რატომ შეერევა ვენური სისხლი არა როლ
რიულ სისხლს, წარმოდგენა არა აქვთ ცვალებადი ტემპერატურის
მკონე ცხოველებზე, გარემოს ტემპერატურის გავლენაზე, პლიკიან
თევზის სუნთქვის ორგანოები, სად მდებარეობს ლაყუჩები, მათი
აგებულება და ხილიან ლებულობს თევზი ჟანგბალს, წარმოდგენა
არა აქვთ იმაზე, თუ რა ნიშნებით განსხვავდება თავკომბალა
ბაყაყისაგან, როგორ მიმდინარეობს თავკომბალას ბაყაყიდ გარდა-
ქმნის პროცესი და რა მნიშვნელობა აქვს მეტამორფოზის ცხოველთა
სამყაროს ამა თუ იმ კლასის ეხლანდელ ფორმათა წარმოშობის
ასსნის საქმეში; არ იცნობენ ცხოველთა სამყაროს გადაშენებულ
ფორმებს და არ შესწევთ უნარი მონარონ ეხლანდელ ფორმებსა
და გადაშენებულ ფორმათა შორის მსგავსი ნიშანთვისებები.

ახალდაბის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა იცი-
ან აღამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსის ფაქტიური
მასალა, მაგრამ არ იკიან, რომ ადამიანის ტვინი „მაღალორგანი-
ზებული მატერიაა“, კარგად არ ესმით ფიზიოლოგიური პროცესის
ნიმუში ბუნება. ფიზიოლოგიურ პროცესებს ვერ ანსხვავებენ წმინდა
ფიზიკურსა, ქიმიურსა და მექანიკურ პროცესებისაგან, მაგ. ლეიძლში
შექრის ცხოველურ სახამებლად – გლიკოგენიდ გარდაქმნა მათ მხო-
ლოდ ქიმიურ პროცესად მიაჩნიათ, ხოლო წვრილი ნაწლავიდან
საზრდოს შეწოვა წარმოდგენილი აქვთ როგორც უჯრედის მუშა-
ობის შედევი. ირკვევა, რომ მოსწავლეებს არა აქვთ ნათელი წარ-
მოდგენა ფიზიოლოგიური პროცესების მატერიალობაზე დრ ამ პრო-
ცესებს ისინი აივიებენ ფიზიკურსა და ქიმიურ პროცესებთან.

ზემოალების საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები (მას-
წავლებელი ს. შეშაბერიძე) არ აჩავნ გარკვეული დარვინის მოძ-
ლვრების ძირითად საფუძვლებში, არ იციან რა არის ბუნებრივი
გიდაპრევა, წარმოდგენა არა აქვთ არსებობისათვის ბრძოლის ფორ-
მებზე. ვერ ანსხვავებენ ერთიმეორისაგან ბრძოლას სახეთა შიგნით
და სახეობათა შორის, არ არიან გარკვეული ორგანიზმთა საარსებო
პირობებთან შეგუბის მიზანშეწონილობის შეფარდებით ხასიათში,
ასახელებენ არსებობისათვის ბრძოლის მაგალითებს, მაგრამ არ
იციან, რომ ამ მოვლენას საფუძვლად უდევს გარკვეული მატერია-
ლური ფაქტორები.

ვანის რაიონის სალხინოს საშუალო სკოლის IX კლასის მოს-
წავლეები (მასწავლებელი კ. ძაგნიძე) მსჯელობენ ჩ. დარვინის მო-

ძლვრების ძირითად საფუძველზე (ცვალებადობა, მემკვიდრეობა, ხელოვნური და ბუნებრივი გადატევა, ბრძოლა არსებობისათვის), მათ იციან, რომ ორლიგის მსახური და ბურეუაზიულური მუშაობა ბი ილაშქრებოდნენ ჩ. დარვინის წინააღმდეგ, მაგრამ არ არიან გარკვეული იმაში, თუ დარვინის მოძღვრება სახეობათა წარმოშობის შესახებ, როგორ აგათილებდა იდეალისტურ-რელიგურ შეხედულების ორგანულ სამყაროს მარადიულობისა და უცვლელობის შესახებ.

ვანის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. თ. აბრამიძე) იციან ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული მასალა, მაგრამ არ არიან გარკვეული ქიმიურ მოელენათა ასაში. იციან ზეპირად ნივთიერებათა მარადისობის კანონი, მათ არ ესმია ამ კანონის შინიშვნელობა, მატერიის მარადიულობის ასსნისათვის და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ არძოლის საქმეში.

სალხინოს და ახმეტის საშუალო სკოლების IX კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ა. ძაგნიძე და შ. ნარეშელაშვილი) არ იციან ქიმიურ ცოლობათა შედგენა, არ ესმით ნივთიერებათა ფიზიკური და ქიმიური თვისებები, მარილთა ნომენკლატურა, მეცანათა ფუძიანობა და ვალენტიანობა; ისინი არ არიან გარკვეული ბუნებრივ მოვლენათა ურთიერთ-კავშირსა და ურთიერთ-გავლენაში, არა აქვთ წარმოდგენილი ჟანგვა-აღდგენის პროცესის ერთდროული მიმდინარეობა, ასევე ნათელი წარმოდგენა არა აქვთ ანალიზსა და სინთეზს და ატომისა და მოლექულების მოძრაობაზე.

ყვითისის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. ბერიაშვილი) არადამაყმიაყოფილებლად იციან არაორგანული ქიმიის კურსი, მათ ვერ განმარტეს, თუ რა არის ჟანგვეული, მეცავა, მარილი, მეცანათა ფუძიანობა, ელემენტთა ვალენტიანობა, მოსწავლენი არ არიან კარგად გარკვეული შარილთა მიღების ყველა ხერხებში, ქიმიის ისტორიის ელემენტარულ სკიმისებში, მათ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ ლომოროსოვის, ლავაზიეს და დალტონის მოლგაშემის შესახებ.

კაჭრეთის საშუალო სკოლის XI კლასის ვერცერომა მოსწავლემ ვერ შესძლო ინერციის, აჩქარებისა და მასის სწორად განმარტება. ეს გარემოება აისხება იმით, რომ მოსწავლეთა მიერ არ არის გააზრებული ამ ცნებების ფიზიკური შინაარსი. ამ გარემოებით აისხება იგრეოვე ისიც, რომ მოსწავლეებმა ვერ შესძლეს განესხვავებით მასა წონისაგან. მოსწავლე-აღნიშნავს, რომ მასა ინერციის საზომი

არის, მაგრამ განძარტების შინაარსი მისთვის მიუწვდომელი რჩება, რაღაც ამ საგანზე მათი ცოდნა არაა გამომუშავებული ნივთიერების ინერციულობაზე უშუალო დაკვირვებისა და მასზე ცდის მოხსენიერების შედეგად.

ჯიმითის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები (კაჭრეთის რაიონი) ორთქლს თვალხილულად თვლიან და ის მათ ნაცრისფრად მიუჩნდებიათ. ცხადია, ასეთი ყალბი გაგებით შეუძლებელია მისაშვდომი გახდეს მოსწავლეთათვის განების მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის საფუძვლები.

მსგავსი უცოდინარობისა და ფიზიკურ მოვლენებზე არასწორ შეხედულებათა წყაროდ უნდა ჩაითვალოს ფიზიკის სწავლების საქმეში თვალსაჩინო სწავლების მეთოდის უგულებელყოფა და ის, რომ ნაცვლად ცოცხალი ექსპერიმენტისა ჯერ კიდევ ფართო გასაჟანი აქვს ზეპირსიტყვიერ სწავლებას. ამის გამო მოსწავლეთათვის გაუგებარი ხდება სხვადასხვა თეორიები, რომლებითაც უნდა ახსნილ იქნეს ესა თუ ის ფიზიკური კანონზომიერება. მაგალითად, ლითონების ელექტრობის კარგი გამტარობის დახასიათებისათვის, მოსწავლეები ვერ იყენებენ ელექტრონულ თეორიას, რომლის თანახმადაც ყველა ლითონის ატომი კარგავს გულას ირგვლივ მბრუნავ ერთ ინ რამდენიმე ელექტრონს, რომლებსაც თაყისუფალი ელექტრონები ეწოდება და რომლებიც მოძრაობენ ატომებს შორის და რომ ეს თავისუფალი ელექტრონები ხდიან ლითონებს კარგ გამტარებად. ფიზიკური მოვლენების შესწავლისას მატერიალურ სამყაროზე სწორი შეხედულების გამომუშავების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიზმს, რასაც სწავლების დროს თითქმის უმრავლეს შემთხვევაში გვერდს უხვევენ მასწავლებლები. მოსწავლეებს არ ესმით, რომ მექანიკის განვითარების აუცილებლობა წარმოშვა მანქანათამშენებლობის საქმის განვითარებამ, ენერგიის გარდაქმნის კანონის აღმოჩენა დაკავშირებული იყო მანქანარაების განვითარებასთან, თეორი და მლებავი ნივთიერებანი იღმომენილი იქნა საფრიქრო მრეწველობის ზრდასთან დაკავშირებით, ევოლუციური იდეების განვითარება წარმოშვა მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ჯიშების განვითარების საქიმიოებაში და სხვა.

ზემოაღნიშნულ საგნების სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი უმთავრესად იმით აი ხსნება, რომ მასწავლებლებს არ გააჩნიათ თავისი საგნის ღრმა და საუცვლ იანი ცოდნა, არ იბრძეან იდეურ-

პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მარქსისტულ - ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლებისათვის. ბევრ მასწავლებელს გადასცემის კიდევ არა იქნებული, რომ სწავლების ხასიათი და ობზრდის შინაარსი არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მაღალია მასწავლებლის იდეურ - პოლიტიკური მომზადების დონე, რამდენად საფუძვლიანად არის შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, რამდენად კულტურული და განათლებულია იგი.

ამის შედეგად მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად კითხულობენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის თხზულებებს, არ ეცნობიან პოლიტიკურ ბროშურებს, თვალყურს არ ადევნებენ პერიოდულ ურნალ-გაზეთებს, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებას და სუსტად ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში. ცხადია, ასეთ მასწავლებლებს არ შესწევთ უნარი საგნის სწავლებას მისცენ იდეურ-პოლიტიკური შინაარსი და ობზარდონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებული ახალგაზრდები.

ახმეტის საშუალო სკოლის მასწავლებელი ანტონოვა და ზემოაღვანის საშუალო სკოლის მასწავლებელი თავბერიძე, არ ზრუნავენ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე; ისინი არ იცნობენ საკავშირო კ. პ. (ბ) დადგენილებას ურნალ „ზეზდასა“ და „ლენინ-გრადის“ შესახებ და არც ამხ. უდანოვის მოხსენებას ამ საკითხზე, თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურიდან კარგა ხანია არაფერი წაუკითხავთ. მასწავლებელი თავბერიძე, მისი განცხადების თანახმად, მეორე-ჯერ კითხულობს კ. გამსახურდიას „დიდ ოსტატის მარჯვნას“, მხოლოდ არაფერი იცის გამსახურდიას ნოველების წიგნის შესახებ, რომელიც ჩვენი კრიტიკის მიერ დაგმობილ იქნა, როგორც იდეურად მიულებელი, არ კითხულობს ურნალ „მნათობს“ და არაფერი გაუგონია საქართველოს მწერალთა კაშირის მესამე ყრილობაზე ამხ. პ. შარიას მიერ გაკეთებულ მოხსენების შესახებ.

ახმეტის საშუალო სკოლის ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი თ. ჭინქლაძე, ყვიბისის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ბერიაშვილი, ვანის საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. აბრამიძე, შილდის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ნერსესაშვილი არ იცნობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებებს, არ ეცნო-

ბიან მეცნიერების მიღწევებსა და არ კითხულობენ პერიოდულ ცენტრ ცემებს.

სოფ. სალხინოს საშუალო სკოლის (ვანის რაიონი) უნივერსიტეტის მასწავლებელი ზ. ჩახანიძე სრულიად არ ზრუნვას თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, არ კითხულობს მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურას; ის არ სარგებლობს სასკოლო ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებით, არ ემზადება გავვეთილებისათვის. მან მე-9 კლასში ახალი მასალის ახსნა ასე დაიწყო: „დღეს დავამთავრეთ სსრ კავშირის ხალხთა ისტორია და ვიწყებთ ახალი ისტორიის შესწავლის. ახალი ისტორია იწყება პარიზის კომუნიდან. საფრანგეთში იწყება ბრძოლა, 18 მარტს დაიწყო პარიზის კომუნა. მარქსი აფასებდა კომუნას. 1918 წლის ვამოსვლის პროლეტარიატი ხელმძღვანელობდა—მისი ბელადები. 7 ხომებერს დაიწყო რევოლუცია. 1870 წელს ატყდა სამოქალაქო ომი“.

ჭოლას საშუალო სკოლის მასწ. კ. ჭიჭია (ჩხორწყუს რაიონი) კარგად ვერ ერკვევა საზოგადოებრივ მოვლენათა ისტორიულ აუკითხებლობის საკითხებში და არასწორ გამარტებას აძლევს მოსწავლებს ისტორიული ფაქტების შესახებ. ნაპოლეონის გამარჯვებათა მთავარ მიზეზად (VIII კლ.), ნაპოლეონის სამხედრო ცოდნასა და გამოცდილებას სთვლის, მას მხედველობიდან გამორჩეა ბურუუაზიული წყობილების პროცესიული ხასიათი, ფეოდალურ წყობილებასთან შედარებით. იგივე ითქმის სოფ. ზეინდარის რვაწლიანი სკოლის (ვანის რაიონი) მასწ. აკ. ქავთარაძის შესახებ. მან ვერ განუშარტა მოსწავლებს ნაპოლეონის ომები, როგორც უსამართოლო ომი და მისი დაპყრობითი ხასიათი. 1812 წლის ომის გახსილვის დროს ხაზი ვერ გაუსვა რუსეთის ჯარების შესანიშნავ სიმტკიცეს, პარტიზანთა გმირობას და გამჭრიახობას; მასწავლებელმა აღნიშნული მასალა არ დაუკავშირა დიდი სამატულო ომის საკითხებს და სხვა.

მეთოდურ გაერთიანებისა და სკოლის მეთოდური კომისიების მუშაობა მთელ რიგ შემთხვევებში ფორმალურ ხასიათს აჩვრებს. მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის იმგვარად არის წარმართული, რომ იყო არსებითს და ნამდვილ დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს საგნების სწავლების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე აკვანის საქმეში. მეთოდურ კომისიებს სხდომებზე ხშირად ისმენენ მოხსენებებს მხატვრული ნაწარმოების, ისტორიის ცალკეულ თემებისა და სხვა საკითხების სწავლების შესახებ, მაგრამ ეს მოხსე-

ნებები ატარებენ განცენებულ და „საერთო“ ხასიათს და მხედვების/ ბის გარეშე დატოვებული სკოლაში ამ საგნების სწავლების/დაზუგული არსებული მდგომარეობა.

სკოლის პედაგოგიური საბჭოებიც ხშირ შემთხვევაში ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. შემოწმებულ სკოლებში პედაგოგის სხდომებზე უმთავრესად ისმენენ კლასის ხელმძღვანელების ანგარიშს „მეოთხედის შედეგების“ შესახებ. ოქმში ჩასწერენ: კლასში რამდენი მოსწავლეა, რამდენი იგვიანებს, რამდენი არ დადის, რამდენი ასწრებს, რამდენი ვერ ასწრებს.“

მაგრამ ნაკლებად მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ ისწავლეს მოსწავლეებმა, რა იციან, რა არ იციან მათ. რა გზით მიაღწია მასწავლებელმა წარმატებას, რატომ ჩამორჩია ესა თუ ის მოსწავლე და სხვა. იმის გამო პედაგოგიურ საბჭოს დალგუნილებანი მშრალია, ზოგადია. არავის არაუკრს არ ივალებს და არც არავინ ასრულებს მათ.

სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგები მას- წავლებლებს ესწრებიან გაეცემილებზე, მაგრამ დასწრებას ძალშე ცოტა სარგებლობა მოაქვს. მითითებანი მასწავლებლების მიმართ ამოიწურება მსუბუქი და უწყინარი შენიშვნებით — „მასწავლებელმა ფურნალი არ ამოიკითხა“, „მოსწავლეები ხელს შალლა სწერდნენ“, „მასწავლებელმა ზევით აიხედა“, „ჩქარა ლიპარიაკობდა“, „ბევრს დაფილდა“ და მისთანათ. ასეთი მითითებანი ამცირებს სკოლის დი- რექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის ავტორიტეტს და ზიანს აყენებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

დასახელიბულ სკოლებში მასწავლებლების გამოცდილებათა ურთი- ერთგაზიარებას არ მიმართავენ. ზემოაღვანის საშუალო სკოლის მე-7 პარალელ კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურის თავპერიძე და ქაბედე ასწავლიან. ეს მასწავლებლები იმდენად კარჩაკეტილად მუშაო- ბენ, რომ არ იციან თუ თითეული მათგანი რა მასალას გადის კლას- ში. მრავალ სკოლებში მივიწყებულია კლასგარეშე კითხვის საქმე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებით არა მარტო მოსწავლეები არ სარგებლობენ, არც მასწავლებლები ამეღლავნებენ წიგნების წაკითხ- ვის სურვილს. ზემო-აღვანში 1500-დე წიგნი მოიპოვება. წიგნები ხელუხლებლად უწყვით კარადებში, მათ მკითხველი არ ჰყავს. მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის სისტემატური კითხვები გარეშე მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება შეუძლე-

ბელია. შემოწმებულ სკოლებში იშეიათად ტარდება უფროს კლასების მოსწავლეთათვის ლექციები, საუბრები, მოხსენებანი, კონსულტაციები და ინფორმაციები პოლიტიკურ, ლიტერატურულ მეცნიერული ხასიათის საკითხებზე.

ხშირ შემთხვევაში განათლების განყოფილების მუშაკები ნაკლებად დაინტერესებული არიან მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებით და არ აფასებენ ამ მიზნების ფაქტორს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დაქმები. ამიტომ არის, რომ სასკოლო ინსპექტორები, განათლების განყოფილების გამგები ამოწმებენ ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობას, მაგრამ იშვიათად თუ ამოწმებენ, როგორ დგას მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმე, როგორ იძრდებინ მასწავლებლები ჟავიანთ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, როგორ დგას პოლიტიკური ავიტა-ციდ მასწავლებლებს შორის, ეჭყობა თუ არა მათთვის ლექციები, საუბრები, კონსულტაციები იდეოლოგიურ საკითხებზე, გააჩინათ თუ არა სათანადო ლიტერატურა, ქურნალ-განხეთები და სხვა.

ასეთი უყურადღებობის შედეგია, რომ სკოლებში არ მოიპოვება პოლიტიკური-მხატვრული ლიტერატურა, პედაგოგიური და პოლიტიკური ქურნალ-განხეთები, იშეიათად ტარდება მასწავლებლებისათვის ლექციები, მოხსენებები და საუბრები პოლიტიკურ და მეცნიერულ საკითხებზე.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი ჩენს სკოლებში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღმზრდის დარგში მოწმობენ იმას, რომ ზოგი სკოლა და მასწავლებელი არ დგას მეოთხე სტალინური ხუთწლებში დამუშალი ამოცანების მოწოდების სიმაღლეზე. ზოგ მასწავლებელს ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო შეგნებული მასწერებული სასახელო და საპატიო ამოცანის — ახალთაობის კომინისტურად აღმზრდის უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და უდარდელად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას.

მოსწავლეთა იდეურ პოლიტიკური აღმზრდის დარგში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხერის მიზნით კონკრეტურ დაგენს:

დაწყებითი რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლებმა, კლასის ხელმძღვანელებმა:

1. განსაკუთრებული გულმოდეგინებით მოპეიდონ ხელი საკავშირო ქ. 3. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისა და მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწერების საფუძვლიანად შესწავლას;

სისტემატურად დაესწრონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ მოწყობილ ლექციებს, მოხსენებებს, საობროვსა და კონსულტაციებს და მიიღონ აქტური მონაწილეობა პროფესიულ ლიტერატურულ და სხვა მეცნიერულ საკითხების განხილვაში;

2. მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობისა და თანამედროვე პოლიტიკის საკითხებზე განმარტებებისა და კონსულტაციის მისალებად მციდრო კავშირი დამყარონ საქალაქო და რიონიულ პარტიულ კაბინეტებთან;

3. იყითხონ ეურნალ-გაზეთები, გაეცნონ ლიტერატურის, ხელოვნების, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევებს; შეისწავლონ მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და ცალკე დარგებში დასახული გეგმები და არსებული მიღწევები და იგი სისტემატურად გამოიყენონ სწავლების დროს;

4. იზრუნონ ცალკე საგნების შესაბამისი ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად. მოსწავლეებს შეუდგინონ ცალკე საგნებში კლასგარეშე საკითხავი წიგნების სია და ხელი შეუწყონ მათ წიგნების შეძენაში; მეთვალყურეობა გაუწიონ წიგნების კითხვას, მოაწყონ მკითხველთა კონფერენცია და წაკითხულის გარშემო სჯა-ბასი; წაკითხულ ნაწარმოებთა შესახებ სწორი თვალსაზრისის გამოშვავების მიზნით, საქართველოს შემთხვევაში, მოსწავლეებს მისცენ საჭირო ასსა-განმარტებანი.

5. საგნობრივ წრეების სამუშაო გეგმები იმგვარად შეადგინონ, რომ ისინი შეიცავდნენ ცალკე საგნების საპროგრამო მასალასთან ერთად მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს და მთელი წრეებრივი მუშაობა, რეფერატები, მოხსენებები, საუბრები იმგვარად წარიმართოს, რომ მოსწავლეებში იმუშავებდნენ ლიტერატურული, ისტორიული და სხვა მეცნიერებათა ფაქტებისა და მოქლენების მარქსისტულ-ლენინური ანალიზის უნარს;

6. უფროს კლასების მოსწავლეთათვის რეგულარულად, სათანადო ცხრილის მიხედვით, მოაწყონ ლექციები, მოხსენებები და პოლიტიკური ინფორმაციები, აგრეთვე დისპუტები და ლიტერატურული გასამართლებანი.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

1. მხატვრული ნაწარმოების ფაქტიური მასალის განხილვის დროს მკეთრად გაუსვან ხაზი კლასიკოსთა ნაწარმოებებში მოცე-

შესწავლით კლასობრივ ბუნებას, მისწრაფებას, განწყობილებას /
მათ იდეოლოგიას, ორმად გააშუქონ გმირთა სოციალური გარემო
და მათ შორის არსებული კლასების ურთიერთობა; საბჭოთა ტრიუმფი
ლების მხატვრული ნაწარმოების შესწავლის საფუძველზე შოსწავ-
ლებს ნათლად აჩვენონ საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური
თვისებანი, სიმართლე, პირდაპირობა, შრომის მოყვარეობა, ჰუმანიუ-
რობა, სიმუკიცე-შეუღრეკლობა, სამშობლოსადმი სიცვარილი;

2. მოსწავლეებში მაღალი მორ ლური თვისებებისა, იდეურობის
და მხატვრული გემონების გამომუშავების მიზნით, ფართოდ გამოი-
ყენონ საბჭოთა უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ნარკვევები,
ფელეტონები, ლექსები და მოთხოვობები ჩერი ქვეყნის მოწინავე
ადამიანების, სოციალისტურ შრომის გმირების, შრომაში თავგან-
წირულობისა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგუ-
ლების შესახებ;

3. საშუალო სკოლის უფროს კლასებში წერითი თემების შერ-
ჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ
თემები შეიცავდენ ნაწარმოების იდეური მხარის გარჩევა-ანალიზს;

4. გულდასმით გასწორონ წერითი ნამუშევრები და მათი შე-
ფასება აწარმოონ იმის მიხედვით, თუ რამდენად ენობრივად სწო-
რად არის შესრულებული ნაწარმოები, რამდენად ეხერხება მოსწავ-
ლებს ფაქტური ლიტერატურული მასალის ცოდნის საფუძველზე
აზრის თანმიმდევრულად გაშლა და რამდენად სწორ იდეურ თვალ-
საზრისს ატარებს მოსწავლე თემის ძირითადი ამოცანის გაშემე-
ბისას.

ისტორიის მასწავლებლებმა:

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესწავლისას ნოსწავ-
ლებს სათანადო განმარტებანი მისცენ, რომ ეს ფაქტები და მოვლენე-
ბი დამოუკიდებლად წარმოშობილი, მუდმივად უცვლელი კატეგორიე-
ბი კი არ არიან და არც ერთმანეთის გვერდით არსებობენ, არამედ
მიხეხვდევობრივ კავშირში იმყოფებიან და კანონზომიერად იცვ-
ლებიან საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური პირობების შეცვლას-
თან ერთად;

2. მოსწავლეებს კონკრეტული მაგალითებით უჩვენონ, რომ
ისტორიული პირები თავიანთი სურვილის მიხედვით კი არ მოქმე-

დებლნენ, არამედ მათი შეხედულებანი, განშეყობილებანი და მისი ფრთა ფეხი საზოგადოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურზე ისტორიულ აუკილებლობით არიან განსაზღვრული;

3. ორგანიულად დაუკავშირონ ისტორიული მასალის შესწავლა თანადროულობის შესანიშნავ მოვლენებს; ისტორიული და თანამედროვე მასალების შესწავლა მჭიდროდ დაუკავშირონ მოსწავლეებზი მამაცობის, საპქოთა წყობილების უძლეველობის შეგნების გამომუშავებას, პატრიოტული გრძნობებისა და სიმრკიცის აღზრდას; არ დაუშვან წარსულის ნაძალადევი და მექანიკური დაკავშირება თანამედროვე საყითხებთან და ილკვეთონ ისტორიის სწავლებაში ზერელობის, აპოლიტიკურობის უიდეობის ყოველგვარი გამოვლინებანი;

4. ზუსტად განუმარტონ მოსწავლეებს ისტორიული ცნებები და ტერმინები და ყურადღება მიაქციონ მათ გააზრებულად შეთვისებას;

5. მტკიცად მოსთხოვონ მოსწავლეებს ქრონოლოგიური თარიღების დამახსოვრება და იგი მჭიდროდ დაუკავშირონ ისტორიული პროცესების გაგებას;

6. ისტორიის წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის საფუძველზე ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გაშუქებას და უზრუნველყონ მოსწავლეებში ამ იდეოლოგიის თვალსაზრისით ისტორიული მოვლენების ანალიზის ჩვევა-უნარის გამომუშავება.

ბუნებისმერცხვლების, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლებში:

1. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის გაფლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ კურსის შეგნებულად შეთვისებას, ბუნების მოვლენები გააშუქონ ისე, რომ მოსწავლეთათვის გასაგები გახდეს მოვლენის წარმოშობა-განვითარების არსი და ბუნებაზი არსებული კანონზომიერებანი;

2. საგნების სწავლება ორგანულად დაუკავშირონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის და წარმოების პრაქტიკას, ფართოდ გამოიყენონ სწავლებაში ექსურსიები ბუნებაში, კოლექტიურსა და საბჭოთა მეურნეობებში და წარმოებებში, გააცნონ მოსწავლეებს ჩვენს ქვეყანაში მოპოებული მიღწევები და ნათელი გახადონ მოსწავლე-

თათვის თუ როგორ იმორჩილებს ადამიანი ბუნებას მოწინავე შეცხადებათა გამოყენებით;

3. გააცნონ მოსწავლებს ჩვენი სახალხო მეურნეობის პრატისტისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის საკითხები;

4. სათანადო თემების შესწავლასთან დაკავშირებით ფართოდ გააშუქონ საბჭოთა კავშირში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმატებანი და ის დიდი მხრუნველობა, რომლითაც გარშემორტყმულია საბჭოთა მეცნიერება;

5. ფართოდ გამოიყენონ ისტორიზმი, გააცნონ მოსწავლეებს გამოჩენილ ბიოლოგთა, ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა ცხოვრება და მოღვაწეობა; ყოველი ახალი აღმოჩენები საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, გააშუქონ ისტორიულ ასპექტში და ნათელი გახადონ მოსწავლეთათვის ამ აღმოჩენა-ძილწევათა წინაპირობები;

6. გადატრით გააუმჯობესონ მოსწავლეთა კლასგარეშე წრეების მუშაობა, წრეების სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ ისეთი საკითხების დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის მათლებასა და მათ კომუნისტურად აღზრდას;

7. პროგრამით გათვალისწინებული მასალის დამუშავებისას ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება—ცდები, დაკვირვებები, ლაბორატორულ-პრაქტიკული მუშაობა; მიაწყონ სკოლაში ბუნების ცოცხალი ჯუთხე და სასწავლო-საკდელი მიწის ნაკვეთი; სისტემატურად ივარჯიშონ მოსწავლეები ფიზიკისა და ქიმიის ამოცანების ამოხსნაში და გრაფიკული სამუშაოების შესრულებაში (დიაგრამების, ნახატების და სექტების შედგენა);

8. სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი მისცენ განვლილი მასალის განვითარებას და მიალწიონ მოსწავლეთა მიერ კურსის მთლიანსა და გააწრებულ შეთვისებას.

სკოლის დირექტორებმა:

1. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მასწავლებლებს მარქსისტულ-ლენინური განათლების დონის ამაღლების საქმეში, რისთვისაც:

ა) დაეხმარონ მასწავლებლებს საკავშირო კ. 3. (ბ) ისტორიას მოქლე კურსის ღრმად და მტკიცედ შესწავლაში;

ბ) სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით მოაწყონ მასწავლებლებისათვის ლექციები, მოხსენებები, საუბრები პოლიტიკურ, ლიტერატურულ და მეცნიერების სხვა და სხვა საკითხებზე;

გ) უწრუნველპყონ მასწავლებელთა დასწრება საჯარო ლექცია-მოხსენებებზე;

დ) მიიღონ ზომები სასკოლო ბიბლიოთეკების პერიოდული უურნალ-გაზეთებით და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფილობად, მოაწყონ უურნალ-გაზეთების მასწავლებელთა კოლექტიური კითხვა და აზრთა გაცემა-გამოცემა;

ე) სასკოლო ბიბლიოთეკა შეავსონ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თხზულებებით და ხელი შეუწყონ ამ თხზულებების ნაყოფიერად გამოყენების საქმეს. გადამჭრელი ზომები მიიღონ მხატვრული და სხვა სახის ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკის შესახებად, სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ კლასგარეშე კითხვის საქმეს;

2. სისტემატურად შეამოწმონ ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ გაეცილობ დამუშავებული მასალა, მეცნიერულ სიზუსტესთან ერთად, იდეურ-პოლიტიკურად რამდენად სწორად შუქჯება და როგორ იყენებს მასწავლებელი საპროგრამო მასალას მოსწავლეებში კომუნისტური მორალისა და ჩვევების აღზრდისათვის;

3. ფართოდ დანერგონ საუკეთესო მასწავლებლების გამოცდილებათა გაზიარების პრაქტიკა. ამ მიზნით გამოიყენონ მასწავლებელთა თათბირები და მეთოდური გაერთიანებანი, თათბირებზე მოისმინონ მასწავლებელთა თეოთანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირებს საპროგრამო მასალის დამუშავებას მოსწავლეების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს;

4. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე მოისმინონ ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობა და მეთოდურად და პედაგოგიურად გამართულ რჩევითა და დარიგებებით დაეხმარონ მასწავლებლებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად;

5. გადასინჯობნ საგნობრივი წრეების სამუშაო გეგმები და წრეების მუშაობა წარმართონ იმგვარად, რომ იგი ხელს უწყობდეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას;

6. გადაჭრით გააუმჯობესონ კლასის ხელმძღვანელების მუშაობა, მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ წესების მაღალხარისხოვნად შესრულებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შეგნებული დისკიპლინის განმტკიცებას და სასკოლო რეეიმის მტკიცედ დაცეს;

7. მოაწყონ სკოლაში უფრო კლასების მოსწავლეთათვის პოლიტიკური ინფორმაციები.

განათლების განყოფილებათა გამგება:

1. უზრუნველყონ სასწავლო კაბინეტებისა და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის გათვალისწინებული თანხების მთლიანად ათვისე-

ბა და კაბინეტებისა და ბიბლიოთეკების ახალი ხელსაწყოებით შეიქმნა და წიგნებით შევსება;

2. სათანაცო ორგანოებთან შეთანხმებით მოაწყონ მისწავლებული ბეჭთა მიერ „საქავშირო ქ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა, მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები და კონსულტაციები პოლიტიურ და მეცნიერულ საკითხებზე;

3. სკოლების მეშაობის შემოწევისას შეისწავლონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის სიმაღლე. გაძოარებით საგნის სწავლების იდეურ-პოლიტიკური შინაარსი და ამის მიხედვით შეაფასონ მასწავლებლების მუშაობა;

4. მთაბდინონ საუკუთხესო მასწავლებლების გამოცდილებათა განზოგადოება და უხრუნველყონ ამ გამოცდილებათა გაზიარება სხვა სკოლის მასწავლებელთათვის;

5. სათანაცო თათბირებზე გააშექონ ცალკეულ სკოლებში მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში არსებული მიღწევანი და დასიხონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

6. გაფრთხილებული იქნან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ლეონტი ცირამუა (ხაბუმეს საშ. სკოლა), ევ. იობაზევილი (ყვიბისის საშ. სკოლა—ბორჯომის რაიონი), ანა ყალიჩავა, (ნაკიანის საშ. სკოლა), ბ. თავებერიძე (ხემოალვანის საშ. სკოლა) ბ. ანტონოვა (ახმეტის საშ. სკოლა);

ისტორიის მასწავლებლები: ა. ხევსურიშვილი (ბორჯომის რუსული საშ. სკოლა), აკაკი ქაგთარაძე (ზეინდრის საშ. სკოლა, განის რაიონი), ზაქარია გომშვილი (შილდის საშ. სკოლა, ყვარლის რაიონი).

ქიმიის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები: მ. ბეთიაშვილი (ყვიბისის საშ. სკოლა, ბორჯომის რაიონი), ან. ძაგნიძე (საბენიოს საშ. სკოლა, განის რაიონი), ს. შეშიბერიძე (ზემოალვანის საშ. სკოლა, ახმეტის რაიონი), თ. ცირამუაძე (ახმეტის საშუალო სკოლა).

ფიზიკის მასწავლებლები: ელ. ხარაზიშვილი (კაჭრეთის საშ. სკოლა), ი. ტონქიშვილი (ჯიმითის საშ. სკოლა, კაჭრეთის რ.);

თუ კი ისინი არ იხრუნებენ იდეურ-პოლიტიკური დონის იმაღლებისათვის და უახლოეს დროში გადაჭრით არ გაამჯობესებენ საგნების სწავლების ხარისხს, მათ იყვეთებათ უფროს კლასებში მასწავლებლობის უფლება.

7. სალხინოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ზოგიც
ჩიჩინიძეს, რომელმაც ისტორიის უცოდინარობა გამოამტოვნა, ჩა-
მოერთვას მე-8, მე-11 კლასებში ისტორიის გაკვეთილებები მიმდინარე

8. გახეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ სისტემატურად
გაიშუქოს ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა მარქსის-
ტულ-ლენინური განათლებისა და მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური
აღხრდის მდგრადრეობის საკითხები; რეგულარულად მოათავსოს
გახეთში მეთოდური ხასიათის წერილები, ნარკევები, მონიგრაფიე-
ბი და მითითებანი, რომლებიც საჭირო დამზარებას გაუწევს მასწავ-
ლებლებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სათანადო
სიმაღლეზე დაყენების საქმეში;

9. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მოაწყოს მას-
წავლებელთათვის ადგილებზე საუბრები და კონსულტაციები მოს-
წავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე და მეთოდური
დამზარება გაუწიოს მასწავლებლებს სწავლების ხარისხის გაუმჯობე-
სების დარგში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოაღვილე შ. ბუჩქულაძე.

1947 წ. 28 ოქტომბერი
ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1947 წლის, 17 მარტი

შემოწმების შედეგების საქართველოს სსრ განსახტომის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანებისა—არასრულ საზუალო და სამუალო ცეკვების ფიზიკის სფეროებასთან დაკავშირდით სადამოცხაო მასპერიტის მინისტრის მოწყობისა, თბილ-საჩინოების გამოყენებისა და ლაპონიატონული გუვარდის ჩატარების შესახებ.

რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებას თან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორული სამუშაოების ჩატარების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანების საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთმა სკოლამ საფუძვლიანად გარდაქმნა მუშაობა. ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ქ. თბილისის ვაჟთა 24-ე (დირექტორი გ. კობახიძე—ივივე ფიზიკის მასწავლებელი), მე-20 (დირექტორი გ. სანაძე—ივივე ფიზიკის მასწავლებელი), 21-ე (დირექტორი ლოლობერიძე, მასწავლებელი ვ. შაპოშნიკოვი), თელავის ვაჟთა I (დირექტორი გ. კირვალიძე, ფიზიკის მასწავლებელი ე. ნანობაშვილი), გურჯაანის (დირექტორი ქ. ცხადაძე, მასწავლებელი ლ. მესხაძე), დუშეთის (დირექტორი ე. მოსეშვილი, მასწავლებელი მ. ავეტიქოვი), ქ. მახარაძის ვაჟთა (მასწავლებელი გ. კალანდარიშვილი) და ზოგიერთმა სხვა საშუალო სკოლებმა.

ქ. თბილისის ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის დირექტორი სისტემატურად ზრუნავს ფიზიკის კაბინეტის შეცვებისათვის, რითაც ის საუკეთესო მატერიალურ ბაზას ჰქმნის ფიზიკის თვალსაჩინო სწავლებისათვის; მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ამ სკოლის მიერ შეძენილია: უახლოესი გამოშევების საპროექტო ფანარი „ფიც“, მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრო-მოტორები, ეტექტოფორმული მანქანა, 8 ცალი ელექტროქურა, ელექტრომაგ-

ნიტური ანაშეცობის ორი კომპლექტი, მაგნიტო-ელექტრული მანქანა, მუდმივი დენის ლაბორატორული ეოლტმეტრი და ამპერმეტრი, მიმეტრი და სხვ. შევსებულია აგრეთვე ამავე სკოლის ფიზიკურული ბინეტოან არსებული სახელოსნო,— შეძენილია ხეზე სამუშაო დაწეა, გირაგი, ხერხები რკინისათვის, აღმასი, ქლიბები და სხვ. სახელოსნოში ნაყოფიერ მუშაობას ატარებს მოსწავლეები, ისინი აწარმოებენ მარტივ აგებულების დაზიანებულ ფიზიკის ხელსაწყო იარაღების შეკეთებას; ამზადებენ მოდელებს, ზოგიერთ ხელსაწყო-იარაღებს და სხვ. კაბინეტის ამგვარი შევსებით, სკოლამ წინა წლებთან შედარებით. საკმაოდ გააუმჯობესა ლაბორატორული მეცადინეობის ორგანიზაციის საქმე.

ანალოგიური მუშაობა აქვს ჩატარებული ქ. თბილისის ვაეთა 21-ე და ვაეთა მე-20 საშუალო სკოლებს.

ფიზიკის კაბინეტს მაქსიმალურად იყენებს თელავის ვაეთა პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი ელ. ნანობაშეილი. ის დაუფლებულია საგანს და საფუძვლიანად არის გარკვეული ფიზიკის სწავლების მეთოდებსა და ხერხებში. ამ სკოლის მოსწავლეებმა კარგად იციან ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების დანიშნულებისამებრ გამოყენება, ამეღაენებენ საფუძვლიან ცოდნას და გააჩინიათ ლაბორატორული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა-ჩევევები.

ფიზიკაში თვალსაჩინო სწავლების გაუმჯობესებისათვის კარგად მუშაობს აგრეთვე ღუშეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი მარიამ ავეტიქოვი; კაბინეტისათვის გამოყოფილია ცალკე ნათელი ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია ლაბორატორული მეცადინეობის ჩატარებისათვის საჭირო მაგიდებით. შეკეთებულია კაბინეტში არსებული დაზიანებული ხელსაწყო-იარაღები, სამუშაოდაა გამართული ყველა იარაღი; ფიზიკის სწავლებისას მასწავლებელი ავეტიქოვი სადემონსტრაციო ექსპერიმენტს მოხდენილად უკავშირებს განსახილველი დემოლებების თეორიულად დასაბუთებას. მაგალითად, მე-XI კლასში ცენტრისკენული აჩქარების ფორმულის გამოყვანის დროს მასწავლებლის მიერ საუკეთესოდ იყო დასაბუთებული ცენტრისკენული აჩქარების მიმართულების საკითხი.

ფიზიკის კაბინეტს კარგად უვლის და მაქსიმალურად იყენებს ყველა ხელსაწყო-იარაღს გურჯაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. მესხაძე. ამ სკოლაში კაბინეტისათვის გამოყოფილია ნა-

თელი და საქართვისი ზომის ოთახი; შედგენილია ხელსაწყო-იარების უძინვის ზუსტი კატალოგი; ხელსაწყოები დალაგებულია დარგების მიხედვით და სუვთად ინახება კარაფებში.

ასევე კარგად მუშაობს ქ. მახარაძის ვაჭავა საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი გრ. კალანდარიშვილი. ის საპროგრამო მასალის გავლასთან დაკავშირებით სისტემატურად ატარებს სადემონსტრაციო ცდებსა და ლაბორატორულ სამუშაოებს, დიდ ყურადღებას აქციას ვარჯიშს ფიზიკის მოცუანების მოხსნაზე. მასწავლებელ კალანდარიშვილს მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში მე-11 კლასში საკლასო და საშინაო სამუშაოების დავალების სახით 100 მდე მოცანა აქვს მოხსნილი და ჩატარებული აქვს საკონტროლო სამუშაო.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანების საფუძველზე კარგად გარდაქმნა მუშაობა მახარაძის რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებულმა ფიზიკის ლაბორატორიამ (გამგე გრ. კალანდარიშვილი). ლაბორატორია მოთავსებულია ნათელ და საქმიო ფართობის მქონე ორ ოთახში. ერთში ინახება ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები, მეორეში— კი ტარდება საექსპერიმენტო ცდები და ლაბორატორული სიმუშაოები; ლაბორატორული სამუშაოების ოთახში გაყვანილია წყალი, დაფენის ცვლადი დენის ელექტროგენერატორი, მოწყობილია ტაბნელება და ეკრანი პროექტორით თვალსაჩინოებისათვის, ლაბორატორია შევსებულია საქმიანისი რაოდენობით საჭირო ხელსაწყო-იარაღებით და ინვენტარით; აქ სისტემატურად ტარდება კონსულტაციები საექსპერიმენტო ცდების დაკენებისა; ლაბორატორული სამუშაოების მოწყობისა და ფიზიკის პრაქტიკული მოცუანების მოხსნის ხერხებისა და მეთოდების შესახებ; ასევე კარგად მუშაობს ქ. ფოთის განათლების განყოფილებასთან არსებული ფიზიკური ლაბორატორია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგ სკოლაში არ სხულდება საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანება. ზოგი სკოლის დირექტორებს დღემდე არ უფიქრიათ კაბინეტისაკვის სათანადო ოთახის გამოყოფაზე, კაბინეტის შეფეხბასა და კაბინეტში არსებული იარაღების მოელასა და მათ დაუზიანებლად შენახვაზე. გორის რაიონის—სოფ. მერეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. პაპიტაშვილი) ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყო-იარაღები დამტკიცერიანებული

და დაზიანებული 5 კვ. მეტრიან ოთახში იატაქშე იყო დაჭულებული; ნაწილი იარაღებისა კი უწესრიგოდ იყო შეკრილი თაროებზეც კრიმულენიშე საკლასო ოთახი კი დირექტორს, ერთ მასწავლებელს და სკოლის დარაჯებს საცხოვრებელ ბინად აქვთ გადაქცეული, ხოლო ერთი ოთახი სრულიად გამოუყენებელია. სამხრეთ-ოსეთის აგრონომიური ოქტის, ჯავის საშუალო სკოლის (დირექტორი ბიტივი—იგივე ფიზიკის მასწავლებელი) ფიზიკის მდიდარი კაბინეტი მთლიანიდ დატაცებული და გინადგურებელია. ამ კაბინეტიდან დარჩენილია მხოლოდ დამტვრეული სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღების ნაწილები, რომლებიც ღია და შინებრიმტვრეულ კარალებში უწესრიგოდაა შეყრილი.

ბაშქერთის რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი—ს. სავიდი, მასწავლებელი—ქ. კანიდი და ს. ხარაკიდი) ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოები და რეაქტივები გაფანტულია სხვადასხვა აღვილის. მაგალითად, ბურღონის მანიმეტრი სამასწავლებლოში, საკანცელარიო ნივთების კარალებში აღმოჩნდა, ამავე კარალის თავზე შეგდებული იყო ქოლის ფოტომეტრის ექრანსაფარი, ხოლო ტესლის ტრანფორმატორისა და ატვუდის მანქანის მხოლოდ სადგარები იყო დარჩენილი.

ზოგი მასწავლებელი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს ფიზიკის სწავლების საქმისადმი; არ ზრუნავს წესრიგში ძოიყვანოს კაბინეტი, შეაკეთოს დაზიანებული ხელსაწყოები, სამუშაოდ ვაამზადოს ახლად მიღებული იარაღები, დაალიგოს ისინი კარალებში დარგების მიხედვით, შეადგინოს კაბინეტში არსებული ხელსაწყო-იარაღების ზუსტი კატალოგი, მტკიცედ დაიცვას ხელსაწყო-იარაღების მოვლა-შენახვის წესები და დანერგოს მოსწავლებში ფიზიკის მარტივ ხელსაწყოთა ოვითექოთების მეტად სასარგებლო პრაქტიკა; ფიზიკის სწავლებას პრაქტიკულად არ უჟავშირებს საწარმოო პროცესებს; არ ზრუნავს ოორიულ ცოდნასთან ერთად მოსწავლებში დანერგოს და განამტკიცოს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენების უნარი.

ყვარლის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დ. სეფაშეილი სრულიად არ იყენებს ფიზიკის კაბინეტს, მან არ იცის, თურა ხელსაწყო-იარაღები არის სკოლის ფიზიკის კაბინეტში, იმავე რაიონის შილდის საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტი სრულიად გამოუყენებელია (მასწ. ე. შათირიშვილი), აღნიშნულ მასწავლებელს

არც ერთი ცდა არა აქვს ჩატარებული, ის ზოგჯერ მხოლოდ ფერ-
საწყოების ჩვენებით კმაყოფილდება. მაგალითად, წრედ შემოსის ტრიკი
ტრიკის ძალის გაზიმვის საკითხი მან უბრალოდ ამჟღვისერტოს
ჩვენებით გადაწყვიტა.

გურჯაანის რაიონის ველისციხისა და დუშეთის რაიონის ჭო-
პორტის საშუალო სკოლებში ბევრი ხელსაწყო-იარაღი გაუმართავი
და დამტვერიანებული უწესრიგოდ არის დიყრილი მაგიდებზე. ამ
სკოლებში ლაბორატორული სამუშაოების შესრულების საშუალება
სრულიად არ არსებობს.

ზოგიერთი განათლების ვანკოფილება და პედაგოგიური კაბინეტი
სკოლების მუშაობის ზესწავლის დროს სრულიად უყურადღებოდ სტო-
კებენ თვალსაჩინო სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის
მდგომარეობის გამორკვევის საშმეს; უკეთებოდ და შეუსაბამოდ ანაწი-
ლებენ სკოლებშე ახლად მიღებულ ხელსაწყო-იარაღებს; აუწყობელ
ერთი და იგივე ხელსაწყოს სხვადასხვა ნაწილებს სხვადასხვა სკო-
ლას უვზიანიან; არ გააჩნიათ სკოლებშე გაცემული სასწავლო ინ-
კუნძულის აღრიცხვა; არ ზრუნავენ გამოიყენონ ფიზიკის საუკეთე-
სო მასწავლებლები შედარებით ნაკლები გამოცდილების მქონე მას-
წავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში; არ აწყობენ ფი-
ზიკის მასწავლებელთათვის კინსულტაციებს, მოხსენებებს და ლექ-
ციებს სადემონსტრაციო ცდების ჩატარებისა, ლაბორატორული სა-
მუშაოს მოწყობისა, ფიზიკის კაბინეტის მოწესრიგებისა და ფიზი-
კის სწავლებისთან დაქავშირებული სხვა მრავალი საკითხის გარშემო.

ლაგოდების რაიონის განათლების განკოფილებაში არ აღმოჩნ-
და წინა წლებში სკოლებშე დარიგებული ფიზიკის იარაღებისა და
სხვა სასწავლო ინვენტრის სააღრიცხვო დოკუმენტი, რის გამოც
შეუძლებელი შეიქნა იშის დადგენა, თუ რა რაოდენობისა, რა ლი-
რებულებისა და რა სახის ხელსაწყო-იარაღები აქვთ მიღებული
ცალკეულ სკოლებს. ყვარლის რაიონის განათლების განკოფილე-
ბას და პედაგოგიურ კაბინეტს ახლად მიღებული ერთიდაიგვიე
ხელსაწყო-იარაღების სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა სკოლაში
აქვს ვაგზავნილი. შაგალითად, ტინდალის ხელსაწყოს (სითბოტევადო-
ბაზე) ერთი ნაწილი თუნექის აბაზანა პარიფინის ფირფიტით და სადგა-
მით ერთ სკოლაში აღმოჩნდა, ხოლო იგივე ხელსაწყოს მეორე ნაწი-
ლი—სხვადასხვა ნივთიერების სხეულები თავის ჩარჩოთ,—მეორე
სკოლაში. მსგავს შემთხვევებს ჰქონდა ადგილი დუშეთის, გორის, ლა-

გოდებისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. ზოგჯერ განათლების განვითარების მიერ სკოლაში ისეთი ხელსაწყო-იარაღი დატოვებული რომლებიც სკოლას უკეთ აქვს, ან კიდევ ისეთი, რომლის გამოყენებისა ნება სკოლაში შეუძლებელია არსებოლი ადგილობრივი პირობებისა გამო. მაგალითად, თითქმის სოფლის ყველა საშუალო სკოლაში არის დახურული კონსტრუქციის რუმეკორთის კოჭები, რომელთა გამოყენებისათვის აუცილებელია ცვალებადი დენი.

ფიზიკის სწავლებისას სადემონსტრაციო ექსპერიმენტებისა, ლაბორატორული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოუყენებლობის შედეგად ზოგი სკოლის მოსწავლეები ვერ იჩინენ საქმაო ცოდნას ფიზიკაში, არ იცნობენ ფიზიკის ხელსაწყო-იარაღებს, არა აქვთ ცდების დაკავების ელემენტარული ჩევევა და არ შესწევთ უნარი მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოყენონ პრაქტიკაში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა, ფიზიკის მასწავლებლებმა, განათლების განყოფილებებმა და პედაგოგიურ კაბინეტებმა ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანებით — არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციაში ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორული სამუშაოების ჩატარების შესახებ (იხილეთ მეთოდური კრებული საშუალო სკოლის მუშაქთათვის 1946 წლის გამოცემა გვერდი 295).

2. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამსრუთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგებს, უველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგებს:

ა) 1947 წლის 1 აპრილამდე პირადად შეისწავლონ ფიზიკის კაბინეტების მოწყობისა და გამოყენების საკითხი ცალკეულ სკოლებში, დაეხმარონ სკოლის დირექტორებსა და ფიზიკის მასწავლებლებს საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წ. 7 თებერვლის ბრძანების ზუსტად გატარების საქმეში;

ბ) ახლად მიღებული ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების სკოლებზე განაშილების დროს ზუსტად გაითვალისწინონ ცალკეული სკოლების საჭიროებანი და არ დაუშვან სკოლებში ისეთი ხელსაწყო-იარაღე-

შის გაგზავნა, რომლებიც სკოლას უკვე აქვს, ან ისეთი ხელსაწყო-
იარაღებისა, რომლის გამოყენება მოცემული სკოლის პირობებში შეუ-
ძლებელია;

გ) შეარჩიონ ფიზიკის გამოცდილი მასწავლებლები და მათი
ხელმძღვანელობით რაიონის ცენტრში, რომელიმე სკოლასთან, მოაწ-
ყონ ფიზიკის სანიმუშო კაბინეტი, სადაც მასწავლებელთათვის პე-
რიოდულად ჩატარონ სადემონსტრაციო ცდები, ლაბორატორიული
სამუშაოები, კონსულტაციები, ლექციები და მოხსენებები ფიზიკის
სწავლების გაუმჯობესების საკითხებზე;

დ) ზუსტად აღრიცხონ ცალკეულ სკოლებზე დღემდე გაცემული
ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები მათი ღირებულების ჩვენებით, გაა-
პიროვნონ ისინი სკოლის დირექტორებზე სათანადო აქტით და
დააკისრონ მათ მატერიალური ჰასუხისმგებლობა.

3. სკოლის დირექტორებმა ფიზიკის მასწავლებლებს სათანადო
აქტით ჩააბარონ ფიზიკის კაბინეტის მთელი მოწყობილობა და დაა-
კისრონ მათ ამ მოწყობილობაზე მატერიალური პასუხისმგებლობა.

4. დავალოს ხაჭართველოს სსრ განათლების სამინისტროს
დაწყებითი და ხაშუალო სკოლების სამმართველოსთან არსებულ
შორის ლაბორატორია-ხასელოსნოს:

ა) სკოლაში მისელისას ადგილზე შეაკეთოს ზოგიერთი დაზია-
ნებული ხელსაწყო-იარაღები, გამართოს და სამუშაოდ გაამზადოს
ფიზიკის კაბინეტი, ჩაუტაროს მასწავლებელს ხელსაწყოებზე სათა-
ნადო ცდები და სიტყვიერი ახსნა-განმარტებითი საუბარი მათი
გამოყენებისა და მოვლა შენახვის წესებზე;

ბ) მოაწყოს ქ. თბილისში დაზიანებული ხელსაწყო-იარაღების
შემკეთებელი სახელოსნო; ამავე სახელოსნოში დაამზადოს ზოგი-
ერთი ხელსაწყო-იარაღების ისეთი ნაწილები და დეტალები, რომ-
ლის დამზადება ადგილზეა შესაძლებელი.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი
და საშუალო სკოლების სამმართველომ 1947 წლის 1 სექტემბრამ-
დე უზრუნველბყოს ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების გამოყენებისა და
მოვლა-შენახვის წესებზე მასწავლებელთათვის დამხმარე პრაქტიკუ-
ლი სახელმძღვანელოს გამოცემა.

6. ფიზიკის კაბინეტისათვის ხაჭირო ოთახის გამოუყოფლო-
ბისა, ფიზიკის კაბინეტის ხელხაწყო-იარაღების მოუფლელობისა
და სწავლებაში მათი გამოუყენებლობის გამო გამოეცხადოს სა-
ჯვედური:

ა) გორის რაიონის სოფ. მერეთის საშუალო სკოლის ფიზიკ-ტომბას ა. პაპიტაშვილს და ბაშქიჩეთის საშუალო სკოლის მასწავლებელ ტომბას ს. ს. სავიდის.

ფიზიკაში თვალსაჩინო სწავლების ცუდად დაყენებისათვის გაფრთხილება მიეცეს:

ა) მერეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელ თ. მეცხარიშვილს, ბ) ბაშქიჩეთის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ქ. კანიძს და ს. ხარაციძს; გ) ყვარლის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელ დ. სეფიაშვილს და დ) შილდის საშუალო სკოლის მასწავლებელ ე. შათირიშვილს.

7. აღნიშნოს, რომ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ჯავის საშუალო სკოლის დირექტორს—იგივე ფიზიკის მასწავლებელს ვ. ბიტიევს სკოლაში ფიზიკის კაბინეტის ხელსაწყო-იარაღების მოუცვლელობისა და სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებლობის გამო საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1946 წლის 23 დეკემბრის № 2710 ბრძანებით გამოცხადებული აქვს საყვედური.

8. აღნიშნული ბრძანება გაეგზავნოს საქართველოს სსრ კველა რვაწლიან და საშუალო სკოლას.

9. ეს ბრძანება 1947 წლის 30 მარტამდე განხილულ იქნას კველა რვაწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. ერმანძი.

ბეჭედი № 505

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წელი „20 მარტი“

შემოწმების შედეგები საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარისათვის 1944 წლის 9 მარტის ბრძანებისა — არასრულ საუსალო და საუსალო სტრუქტური მიმის სრულებასთან დაკავშირდით საღვამოსტრიულო ექსპერიმენტის მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 9 მარტის ბრძანების საფუძველზე ქიმიის სწავლება საქართველოს სსრ რეაქტორიან და საშუალო სკოლებში გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მეცნ სკოლაში შეცვებულია ქიმიის კაბინეტი და ლაბორატორიები საჭირო ხელსაწყოებითა და რეაქტივებით; სათანადო ყურადღება ექცევა სადემონსტრაციაციო ცდებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს; ფართო ადგილი აქცეს დამობილი ქიმიის ამოცანათა მიმდხსნაზე ვარჯიშს და კლასგარეშე მუშაობას, ამ მხრივ კარგი შედეგები აქცეს მოპოვებული ქ. თბილისის ქალთა I საშუალო სკოლას (დირექტორი დარახველიძე — მასწ. ქ. ტუსკია); სკოლაში ქიმიის ლაბორატორიასთან ერთად ცალკეა საპრეპარაციო ოთახი, ლაბორატორია უზრუნველყოფილია სამუშაო მაგიდებით, რომლებზე-დაც მოთავსებულია დასამუშავებელი თემის მიხედვით საჭირო რეაქტივები და ხელსაწყოები; სადემონსტრაციო მაგიდასთან მოწყობილია ამწოვი კარადა; ლაბორატორიის კედლები მორთულია ტაბულებით, დიაგრამებით, გამოჩენილ ქიმიკოსთა სურათებით, ელემენტთა პერიოდული სისტემით და სხვ.

მუშაობისათვის კარგი პირობებია შექმნილი დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. შოსიაშვილი — მასწავ. ავეტიქოვი) ქიმიის ლაბორატორია მოწყობილია ნათელ ოთახში, სადაც რეაქტივები და ხელსაწყოები სუფთად არის დალა-

გებული შესაფერ კარადებში; სკოლის დირექციისა და მაცხადებელის მიერ სისტემატურად ხდება საჭირო რეაქტივებით ლაბორატორიის შევსება; ლაბორატორიის გამოყენებულია კლასგარეშე მუცელი განვითარებისათვის ექსპერიმენტის დასაყენებლად; ამ სკოლაში ქიმიის სწავლება სწარმოებს სათანადო საღმონსტრაციო ცდებითა და ლაბორატორული სამუშაოებით.

ქ. თელავის ვაეთა საშუალო სკოლაში (მასწავ. ნ. საყვარელიძე) ქიმიის გაკვეთილები ტარდება სადემონსტრაციო ცდებით და ლაბორატორული სამუშაოებით; მასწავლებელი სისტემატურად აწარმოებს ლაბორატორიის შევსებას და სრულ წესრიგში აქვს ხელსაწყო-რეაქტივები. ქიმიის სწავლება ასევე კარგადაა დაყუნებული ქ. თბილისის ქალთა 23-ე, ვაეთა მე-8, გურჯაანის, კაჭრეთის რაიონის ჯიმითისა და ყანდაურას საშუალო სკოლებში.

აღნიშნული სკოლების მასწავლებლები ქიმიის სწავლებისას ფართოდ იყენებენ სადემონსტრაციო ცდებსა და ლაბორატორიულ მუშაობას, რის შედეგათაც დასახელებული სკოლების მოსწავლეები დაუფლებული არიან პროგრამით გათვალისწინებულ ქიმიის კურსს; კარგად იციან ვალენტობა, ნაერთთა ძირითადი კლასები, ჰალოგენები, გოგირდი, აზოტი, ფოსფორი, ნახშირბადი, ელემენტთა პერიოდული სისტემა, ელექტროლიტური დისოციაცია; კარგად ერკვა-ვიან ორგანული ქიმიიდან ძირითად საყითხებში; აქვთ გამომუშავებული ხელსაწყო რეაქტივების გამოყენების ჩვეულები, შეუძლიათ ზოგიერთი მარტივი ცდების მოწყობა და შესწევთ უნარი ქიმიაში მიღებული ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში.

შეგრამ, ამასთან ერთად აღგილი აქვს ნაკლოვანებებს: ზოგიერთი რეაქტლიანი და საშუალო სკოლები არ არიან მომარაგებული თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო მასალით; ზოგ სკოლაში წლების მანძილზე შეძენილი რეაქტივები და ხელსაწყოები დანაგვიანებული და დაზიანებული შეყრილია კარადებში. მაგალითად, გორის რაიონის სოფელ მერეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი პაპიტა-შვილი—მასწავლებელი თ. კასრაძე) ქიმიისა და ფიზიკის დაზიანებული და დანაგვიანებული ხელსაწყო-იარაღები პატარა ოთახის იატაქზე უწესრიგოდ იყო დაყრილი. ამ სკოლაში ქიმიის სწავლება ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე სწარმოებს, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე მეტად დაბალია. ამ სკოლის მე-11

კლასის მოსწავლეებმა ორგანულ ქიმიიდან არ იციან ბენზოლის მოლოგიური რიგი და მისი ნაერთები, არაორგანულ ქიმიიდან ზორილთა მიღების ხერხები და მარილთა ბუნება, ერთმანეთისაფანა ვერ არჩევენ ატომსა და იონს; სუსტად იციან მენდელეევის ჰერიოდული სისტემა და ელექტროლიტური დისციაცია და სხვ.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის საშუალო სკოლაში (დირექტორი ბიტიევი—მასწავლებელი სანაკოევა) წლების მანძილზე დაუსუფთავებელი ქიმიის რეაქტივები და ხელსაწყოები სამხედრო კაბინეტში დაღმულ ლურსმნით ჩაქედილ კარადაში იყო მოთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტის ხელსაწყოები და რეაქტივები სავსებით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ ცდების ჩატარებას და ზოგიერთ ლაბორატორიულ მუშაობას, მასწავლებელს არავითარი ცდა არ ჩაუტარებია, რის გამოც მე-11 კლასის მოსწავლეები ვერ იცნობენ სინჯარას, კოლბას, მენზურას, მარილებს, მჟავეებს და სხვ., არ იციან სპირტები, ვერ დაწერეს ერთატომიანი და მრავალატომიანი სპირტები; არა აქვთ წარმოდგენა ბენზოლის პომოლოგიურ რიგზე და მათ თვისებებზე; ვერ არჩევენ ალფებიდებისა და კეტონების დამახასიათებელ ჯგუფებს და სხვ. ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან უანგეულების მიღება, კლასში ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო ფოსფორის უანგეულის მიღება, ვერ დაახასიათა მჟავა და ფუძე, ვერ გამოთვალეს ელემენტის გალენტობა ვერცერთ ქიმიურ ნაერთში.

ბორჩალოს რაიონის საშუალო სკოლაში (მასწავ. ა. ალიევი) ქიმიის კაბინეტის ხელსაწყოები და რეაქტივები X კლასის საკლასო ოთახის კედლის განჯინაში აღმოჩნდა. სკოლაში არ არის ხელსაწყოებისა და რეაქტივების აღრიცხვა, ისინი დაულაგებელია და მათ მოვლა-პატრონობაზე, დანაკლისის შევსებაზე და სწავლებაში მათ გამოყენებაზე არავინ ზრუნავს.

იმავე რაიონის სადახლოს საშუალო სკოლაში (მასწავ. ნ. მამედოვი) ქიმიის რეაქტივები ჩაყრილია სამხედრო კაბინეტის ხელსაწყოებში და არა აქვს არავითარი გამოყენება სწავლებაში.

ასეთივე მდგრამარეობას აქვს აღვილი ყვარელის რაიონის, სოფშილდის (მასწავ. ე. შათირიშვილი), კაჭრეთის რაიონის, კაკაბეთის საშუალო და ზოგიერთ სხვა სკოლებში.

ზოგი რაიონის განათლების განყოფილება ნაკლებიდან ზრუნავს კაბინეტების შევსებაზე. ასე, მაგალითად, ბორჩალოს რაიონის განა-

თლების განყოფილებამ საქართველოს სსრ განათლების სამიწნის თავისა აჩინო-ხელსაწყოთა განყოფილებას სკოლების კაბინეტების ხელსაწყო-იარაღებისათვის 1946 წლის ოქტომბერში 41.000-შანცემი ჩაურიცხა, მაგრამ განათლების განყოფილებას ჯერ კიდევ არავითარი მასალა არ გაუტანია. ზოგან ქიმიის კაბინეტისათვის მიღებული მასალები საშუალო სკოლებზე არასწორად ნაწილდება. მაგალითად, გორის რაიონის განათლების განყოფილებას სოფ. ტყევიავის საშუალო სკოლისათვის ერთი კილოგრამი „დიფერნილამინი“ მიუცია მაშინ, როცა ამავე რაიონის სხვა სკოლები აღნიშნული რეაქტივის ნაკლებობას განიცდის. ყვარელის რაიონის I საშუალო სკოლაში—5 კილოგრამაში აზოტმევა; ამ სკოლაში ჰარბადა აგრეთვე ბერთოლეს მარილი და სხვა რეაქტივები მაშინ, როცა ამავე რაიონის სხვა საშუალო სკოლებში აღნიშნული რეაქტივების უქონლობით შეუძლებელი ხდება ცდების ჩატარება.

ზოგი რაიონის პედაგოგიური კაბინეტი ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ქიმიის მასწავლებლებს, არ ტარდება კონსულტაციები და ცდები, გამოყენებელია დახლოონებულ მასწავლებელთა გამოცდილება, არ არის მოწყობილი სამუშაო ლაბორატორია და სხვა.

ამ მიხედვის შედეგად საქართველოს სსრ ბეჭრ რვაწლიან და საშუალო სკოლის მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალა ქიმიაში და ვერ იჩენ პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სკოლის დირექტორებმა და ქიმიის მასწავლებლებმა ქიმიის სწავლების საქმეში ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის 1944 9 მარტის ბრძანებით—არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციით ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორული მუშაობის ჩატარების შესახებ (იხილეთ მეთოდური კრებული საშუალო სკოლის მუშაქთათვის 1946 წლის გამოცემა—გვ. 453).

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასესრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოცეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, უველა ქადაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს:

ა) 1947 წლის 1 აპრილიმდე პირადი შეისწავლონ ქიმიის ფინანსურის მოწყობის საკითხი ცალკეულ სკოლებში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქიმიის კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოვლა-პატრონობას და მათ სწავლებაში გამოყენების საქმეს; დაეხმარონ სკოლას საქართველოს სსრ განსახომის 1944 წლის 9 მარტის ბრძანების ზუსტად გატარების საქმეში;

ბ) რაიონის სკოლებისათვის ცენტრალიზებული წესით მიღებული ქიმიის ხელსაწყოები და რეაქტივები გაანაწილონ სკოლებში საქიროების მიხედვით, არ დაუშვან ერთ სკოლაში რეაქტივების დიდი რაოდენობით დაგროვება; ზუსტად აღრიცხონ ამა თუ იმ სკოლაში არსებული ჭარბი ხელსაწყო-რეაქტივები და საჭიროების მიხედვით გაუნაწილონ ისინი სხვა სკოლებს.

3. რაიონის პედაგოგიურმა კაბინეტებში სისტემატური ხასიათი მისცენ მასწავლებელთა სემინარულ მუშაობას; მეთოდისტებისა და დახელოვნებული მასწავლებლების მეშვეობით ჩაუტარონ მასწავლებლებს კონსულტაციები, ცდები ცალკე თემების მიხედვით; ცდების ჩატარების დროს გაამახვილონ მასწავლებელთა ყურადღება სასკოლო ექსპერიმენტის ტექნიკაზე, ცალკეული ცდის კონკრეტულობაზე, პრეპარატების გამოყენებაზე და ცდის ჩატარების დროს საჭირო სიფრთხილის დაცვაზე.

4. დაევალოს ქიმიის მასწავლებლებს:

ა) სისტემატურად იზრუნონ ქიმიის კაბინეტის შევსებისათვის; კაბინეტში არსებული ხელსაწყოები და რეაქტივები დაალაგონ ჯგუფების მიხედვით; რეაქტივებსა და პრეპარატებს გაუკეთონ წარწერები და შეაჩიონ მოსწავლეები რეაქტივების გამოცნობას, მათი ხმარების წესს და ცდისათვის საჭირო პრეპარატების მომზადებას;

ბ) ცალკე თემების მიხედვით ავარჯიშონ მოსწავლეები ქიმიური ამოცანების ამოხსნაზე; დაავალონ მოსწავლეებს გრაფიკული სამუშაოების—სქემების, დიაგრამებისა და ნახატების შესრულება და სისტემატური ხასიათი მისცენ ამ დაევალებათა შესრულების შემოწმებას;

გ) გააუმჯობესონ ნორჩქიმიკოსთა წრის მუშაობა; მოსწავლეთა ძალებით ქიმიის სხვადასხვა საკითხებზე ჩატარონ რეფერატები, მოხსენებები და ექსპერიმენტები (შაბიამანის მიღება, საპნის მიღება,

ბორდოს ხსნარის დამზადება და სხვ.); შეაგროვონ აღილობრჩევ
მნიშვნელოვანი ქიმიური ნაერთების ნიმუშები (ნავთობი, ქვანაზოგათ,
შანგანუმ-ნაერთები, სილიკატები, თიხები და სხვ.).

5. დაევალოს საქართველოს ხსრ განათლების სამინისტროში
დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს მოძრავ ლა-
ბორატორია-სახელოსნოს:

ა) სისტემატურად შეამოწმოს საქართველოს სსრ სკოლებში
ქიმიის სწავლების საქმე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ
კაბინეტების მოწყობას, მოელა-ჰატრონობას და მის გამოყენებას
სწავლებაში;

ბ) სკოლებში მისვლისას აღმოუჩინონ მასწავლებლებს პრაქტი-
კული დახმარება, ჩიუტარონ შათ კონსულტაციები, ცდები ცალკე
თემების მიხედვით; მოაწესრიგოს ქიმიის კაბინეტი, გაცნოს შათ
ქიმიური პრეპარატებისა და ხელსაწყოების მომზადების მოელა-
ჰატრონობისა და გამოყენების წესები და განუმარტოს მასწავლებ-
ლებს უწარწერო რეაქტივების ოვისობრივი შემოწმების მარტივი ხერ-
ხები.

6. ქიმიის კაბინეტის ხელსაწყოებისა და რეაქტივების მოუვლე-
ლობისა და მათი სწავლებაში გამოყენებლობისათვის გამოეცხადოს
საყედლური: ა) სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის საშუა-
ლო სკოლის ქიმიის მასწავლებელ სანაკოევს; ბ) ბორჩალოს საშუა-
ლო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ა. ალიევს, გ) გორის რაიონის
მერეთის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ თ. ქასრაძეს, დ)
ბორჩალოს რაიონის სადახლოს საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლე-
ბელ ნ. მამედოვს და ე) კაჭრეთის რაიონის კავაბეთის საშუალო
სკოლის ქიმიის მასწავლებელ ქარსაულიძეს.

7. ეს ბრძანება 1947 წლის 30 მარტამდე განხილულ იქნას სა-
ქართველოს სს რესპუბლიკის ყველა რეაწლიან და საშუალო სკო-
ლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და მიღებულ იქნას სათანადო
ღონისძიებანი.

საქართველოს ხსრ განათლების
მინისტრი გ. პუპაძე.

47
ଓଡ଼ିଆ
ବ୍ୟାକ୍

39/
15

ଶାନ୍ତିକିଶ୍ମଦ୍ଵେଷୀଲୀ ରେଣ୍ଡାଫ୍ଟାର୍ ଓ. ପାହାଲିଯାପା



ଶ୍ରୀପଦ୍ମନାଥ

ପୁସ୍ତକ 2000.

ଶ୍ରୀ 02607.

କ୍ଷେତ୍ରକାଳ ସାହିତ୍ୟକାଳିକ ପାତ୍ରଗୀତାଙ୍କୁ ପ୍ରକାଶିତ ଏବଂ ପ୍ରମୋଦିତ କରିଛି ପାତ୍ରଗୀତାଙ୍କୁ ପ୍ରମୋଦିତ କରିଛି